



[RSS](#)

 მიება

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [კულტურა](#) / დიპკორპუსის წარმომადგენლებს საყდრისის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს
2014.03.11

დიპკორპუსის წარმომადგენლებს საყდრისის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს

[მიმა მეფარიშვილი](#)

ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისში" არასამთავრობო ორგანიზაციამ "საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმამ" საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრებს საყდრისში და მთლიანად კაზრეთში არსებული ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გააცნო.



თქვენი რეკლამა აქ!
 დარეკეთ 296 08 30, ან მოგვწერეთ
 info@netgazeti.ge

ლალი პერტენავამ, შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რომელიც "საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმას" წარმოადგენს, "ნეტგაზეთს" უთხრა, რომ შეხვედრის მიზანია, რომ საქართველოში მოქმედი საელჩოების კულტურის ატაშეებს მიაწოდონ ინფორმაცია საყდრისში და საერთოდ ბოლნისის რაიონში შექმნილი კრიზისული სიტუაციის შესახებ.

შეხვედრის დამსწრეებს, რომელთა შორის საელჩოების წარმომადგენლების გარდა, საკითხით დაინტერესებული პირები იყვნენ, საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის შესახებ ინფორმაცია არქეოლოგმა გიორგი მინდიაშვილმა მიაწოდა.

"მეგლი, რომელსაც ვიცავდით, დანგრევის საფრთხის წინაშე დადგა. უფრო მეტიც, მისი ნაწილი სერიოზულად დაზიანდა ამ ბოლო პერიოდში",- ასე დაიწყო გიორგი მინდიაშვილმა თავისი გამოსვლა.

მან სტუმრებს პრეზენტაციის საშუალებით მიაწოდა ინფორმაცია საყდრისის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერტორიაზე აღმოაჩინეს 9 ჩასასვლელი, რომლის მხოლოდ ნაწილია შესწავლილი.



მან ისაუბრა იმ ექსპერიმენტებზე, რომელიც საყდრის მკვლევარებმა არქეოლოგიური ობიექტის მიდამოებში და მიწისქვეშ ჩაატარეს, რომლითაც, მისი თქმით, დადასტურდა, რომ ამ ადგილებში ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულში ოქროს მოპოვება შესაძლებელი იყო.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა სულხან სალამემ იმ სამართლებრივ დარღვევებზე ისაუბრა, რომელიც საყდრის ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნისა და ამის შემდეგ განვითარებული მოვლენების დროს გამოიკვეთა.

სულხან სალამემ აღნიშნა, რომ ქართულ-გერმანული ექსპედიციის 9-წლიანი მუშაობის საპირწონედ კულტურის სამინისტრომ იმ კომისიის დასკვნა წარადგინა, რომელიც მხოლოდ 35 დღე მუშაობდა. თუმცა 2013 წლის ოქტომბერში კულტურის სამინისტრომ დადო წერილობითი პირობა, რომ საყდრის საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი შეისწავლიდა.

სულხან სალამის განმარტებით, მინისტრს აქვს უფლებამოსილება, რომ საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გაუგრძელოს, თუმცა მინისტრი თავს იკავებს.



ნატო ცინცაბაძემ, "იკომოს საქართველოს" ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საყდრის არის მაგალითი სახელმწიფოს პოლიტიკისა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. მან თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონში" შესატან ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს სტატუსი მოეხსნება, თუ ამას ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოითხოვს.

ცინცაბაძის თქმით, ამჟამად საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტს ჯერ არ მიუღია, თუმცა არავინ იცის მომავალში რა იქნება. მან ისაუბრა ბუნდოვანებაზე და იმაზე, რომ ეს საკითხი არაა საჯარო განხილვის საგანი.

ცინცაბაძის თქმით, კულტურული მემკვიდრეობა თავად არის ეკონომიკური განვითარების წყარო და ამგვარი დამოკიდებულება მის მიმართ ცხადყოფს, რომ

სახელმწიფო არ აფასებს კულტურულ მემკვიდრეობას ჯეროვნად. ასევე, კულტურის სამინისტრომ არ იცის, რა ხდება ამჟამად საყდრისში.

"მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილმა თქვა, რომ კომანია RMG, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მოიპოვებს წიაღისეულს, გარემოს ზიანს აყენებს. საწარმოდან წამოსული მძიმე მეტალებით დაზინძურებული წყალი მდინარე კაზრეთულას გავლით მდინარე მაშავერას აზინძურებს. მაჭარაშვილის თქმით, მაშავერა კაზრეთულას შესართავამდე დაუზინძურებელი მდინარეა, ხოლო მაშავერას შემდეგ- "მკვდარი მდინარე".

პეტენავას თქმით, მათ არა მხოლოდ საყდრისის არქეოლოგიური ობიექტი აინტერესებდათ, არამედ ბოლნისის რაიონის მცხოვრებთა პრობლემები.

"საყდრისის შემთხვევა იყო კატალიზატორი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში. როდესაც დაიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, ისეთი ფონი გამოჩნდა... ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები პირდაპირ უკავშირდება საყდრისი-ყაჩაღიანს. ამ საყდრისი-ყაჩაღიანით ვაჭრობს კომპანია, რომელიც ანადგურებს ეკოლოგიასა და ადამიანების სიცოცხლეს. ამიტომ გავაერთიანეთ კულტურის ეკოლოგიისა და სოციალური საკითხი," - ამბობს, ლალი პეტენავა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ლინა ღვინიაძე, ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტი, რომელმაც ისაუბრა კომპანია RMG-ის მიერ დასაქმებული მუშების შესახებ. მუშები 2014 წლის 14 თებერვლიდან იფიცებან. ისინი სამუშაო პირობებისა და სადაზღვევო პაკეტის გაუმჯობესებას, ხელფასების ზრდასა და გათავისუფლებული თანაშრომლების აღდგენას ითხოვენ.

ლინა ღვინიაძემ თქვა, რომ შრომითი კანონმდებლობა დასაქმებულებს აზარალებს: სახელმწიფომ თავისი შრომითი პოლიტიკიდან გამორიცხა საკუთარი თავი, რომ მშრომელთა უფლებები დაეცვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის, ევროკავშირის საელჩოების წარმომადგენლები, რომლებსაც ამ საკითხზე კომენტარები არ გაუკეთებიათ.

Like 60

+1 1

Tweet 1

კომენტარი